გენდერული სახელფასო სხვაობა საქართველოში

ეკონომიკური მიმოხილვა და ინდიკატორები

Delivering Progress

გამოცემა #112/ 03.09.2019

გენდერული სახელფასო სხვაობა ბოლო დროს თანამედროვე სამყაროს ერთ-ერთ წამყვან პრობლემად იქცა. არაერთ დასავლურ ქვეყანაში გამოვლინდა, რომ ქალის საშუალო ანაზღაურება კაცის სამ-მეოთხედს შეადგენს[1]. ეს უთანასწორობა უარყოფითად აისახება არა მხოლოდ საზოგადოებაზე, არამედ ეკონომიკაზეც. McKinsey & Company-ის კვლევის თანახმად, გენედერული თანასწორობის მიღწევას გააჩნია ეკონომიკის ზომიერი ზრდის პოტენციალი[2].

ამ ბიულეტენის მიზანია, მოკლედ მიმოვიხილოთ გენდერული სახელფასო სხვაობის[3] გამომწვევი მიზეზები. კერძოდ კი, მიმოვიხილოთ სექტორული განსხვავებები, სამუშაო ძალის გადანაწილება და საათობრივი ანაზღაურება. მონაცემების შეზღუდვებიდან გამომდინარე, განხილული იქნება მხოლოდ დაქირავებით დასაქმებულთა ანაზღაურება.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

2018 წელს საქართველოში კაცის საშუალო ანაზღაურებამ[4] 1360.5 ლარი შეადგინა, ქალის ხელფასმა კი 856.2 ლარი, რაც 37.07%-იან სხვაობას ნიშნავს. არათანაბარი ანაზღაურების ანალიზი შესაძლებელია 2001 წლიდან მოყოლებული, როდესაც ქალის ანაზღაურება კაცთან შედარებით 49%-ით ნაკლები იყო. მიუხედავად იმისა, რომ ორი სქესის საშუალო ხელფასების აბსოლიტური სხვაობა თანდათან იზრდება, პროცენტული სხვაობა 2005 წლიდან მოყოლებული მცირდება. 2005-დან 2013 წლამდე ეს სხვაობა 51.06%-დან 36.43%-მდე დაეცა, თუმცა შემდგომ ნახევარი პროცენტით გაიზარდა, რის შედეგადაც მოვედით დღევანდელ 37.07%-თან. იმ შემთხვევაში, თუ ზემოთ აღნიშნული 10 წლის ტრენდი არ შეიცვლება, ხელფასების სხვაობის აღმოფხვრას 30 წელი დასჭირდება, უკანასკნელი 5 წლის ტრენდის თანახმად, კი ქალისა და კაცის საშუალო ხელფასები არ გათანაბრდება.

2018 წელს, საქართველოს პოტენციურმა სამუშაო ძალამ, 15 წლის და ზევით მყოფი, 3.034 მილიონი ადამიანი შეადგინა. ქალები წარმოადგენენ ამ 15+ მოსახლეობის 53.6%-ს, თუმცა, ამავდროულად სამუშაო ძალის მხოლოდ 46.6%-ს, რაც ნიშნავს, რომ მეტი ქალი არ იღებს მონაწილეობას სამუშაო ძალაში, ვიდრე კაცი. ქალთა აქტიურობის დონე, რომელიც უდრის სამუშაო ძალა გაყოფილი სამუშაო ასაკს მიღწეულ მოსახლეობაზე, 2010 წლიდან დღემდე გაიზარდა 54.4%-დან 55.6%-მდე. აღნიშნული მცირეოდენი ზრდის მთავარი გამომწვევ მიზეზს შესაძლოა, წარმოადგენდეს მოსახლეობის კლება, რადგან თვით სამუშაო ძალაში მყოფი ქალების რაოდენობა არ გაზრდილა. 2018 წლის ქალთა აქტიურობის დონე, რომელიც 55.6%-ს შეადგენს, დამაკმაყოფილებლი რიცხვი არ არის, მითუმეტეს, როდესაც კაცებისთვის აქტიურობის დონე 73.6%-ია. პენსიონერების გამორიცხვის შემთხვევაშიც კი, ქალთა აქტიურობის დონე 77.8%-ია, ხოლო კაცთა - 86.2%. ეს სხვაობა შესაძლებელია გარკვეული სტერეოტიპებით აიხსნას, და ემპირიულ მაგალითებზე დაყრდნობით შესაძლოა ითქვას, რომ დაბალი ატიურობის დონეს გარკვეული წვლილი შეაქვს სახელფასო სხვაობაში.[5]



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სახელფასო სხვაობის ერთ-ერთ ამხსნელ მიზეზს შესაძლოა, წარმოადგენდეს ქალთა და კაცთა არაპროპორციული გადანაწილება სხვადასხვა სექტორებში. მარტივი შესამჩნევია, რომ ძირითადად დაბალანაზღაურებად სამსახურებში დასაქმებულთა უმეტესობა ქალია. მაგალითად: 5 ყველაზე მაღალანაზღაურებად სექტორში ქალები საგრძნობლად მხოლოდ 1 სექტორში აღემატებიან პროცენტულად კაცებს, დაბალანაზღაურებადში კი-3-ში. კერძოდ, კაცები საგრძნობლად ჭარბობენ ისეთ სექტორებში, როგორებიცაა *მშენებლობის სექტორი* და *ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის* და *კონდიცირებული ჰაერის მიწოდების სექტორი*. საშუალო ხელფასები ამ სექტორებში შეადგენს 1757 და 1513 ლარს, რაც მათ მეოთხე და მეხუთე ყველაზე მაღალანაზღაურებადს ხდის. შედარებისთვის, *განათლების სექტორში*, რომელიც ყველაზე დაბალანაზღაურებად სექტორად ითვლება, დასაქმებულთა 82% ქალია.





წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ანაზღაურებებს შორის სხვაობა შესაძლებელია დაზუსტდეს საათობრივი მუშაობის გათვალისწინებით. მონაცამებიდან გამომდინარე, ქალი საშუალოდ ნაკლებ დროს უთმობს სამუშაოს, ვიდრე კაცი. შესაძლებელია, საშუალო ხელფასების მონაცემები გადავიყვანოთ 8 საათიანი მუშაობის სტანდარტზე, რის შედეგადაც საათობრივ ფაქტორს გამოვრიცხავთ. საათობრივი ანაზღაურებების შესწორების შემდგომ, ყველა სექტორში სხვაობა ქალთა სასარგებლოდ შემცირდა, გარდა *ხელოვნება, გართობა და დასვენების* სექტორისა. ასევე, ორ სექტორში, *განათლებასა* და *სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა, სავალდებულო სოციალური დაცვაში* ქალების საათობრივი ანაზღაურება კაცებისაზე მაღალი აღმოჩნდა.

საშუალო ანაზღაურება ლარებში სექტორისა და სქესის მიხედვით, ფაქტობრივი და საათობრივად შესწორებულ სახელფასო სხვაობასთან ერთად (2018)

სექტორი	ქალის თვიური ანაზღაურება	კაცის თვიური ანაზღაურება	ფაქტობრივი სხვაობა	ქალის საათობრივი ანაზღაურება	კაცის საათობრივი ანაზღაურება	შესწორებული სხვაობა
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	777	718	-8.10%	7.58	5.72	-32.53%
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	884	1313	32.65%	4.95	6.82	27.47%
მშენებლობა	1328	1802	26.35%	7.34	8.41	12.78%
საბითუმო და საცალო ვაჭრობა	784	1271	38.32%	3.78	6.01	37.07%
ტრანსპორტირება და დასაწყობება	1047	1452	27.84%	5.77	7.10	18.72%
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	781	1038	24.78%	3.61	4.36	17.10%
ინფორმაცია და კომუნიკაცია	1446	1986	27.17%	8.59	10.22	15.96%
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	1499	3461	56.70%	8.32	18.36	54.66%
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	793	1267	37.39%	4.69	6.50	27.85%
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	1421	2355	39.66%	8.94	12.98	31.08%
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	1073	969	-10.74%	5.92	4.29	-37.98%
სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა	1178	1307	9.86%	6.61	5.89	-12.15%
განათლება	582	665	12.49%	4.77	4.34	-9.75%
ხელოვნება, გართობა და დასვენება	865	1134	23.75%	5.11	6.72	24.02%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და ავტორის გამოთვლები

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელსაც ასევე დიდი წვლილი შეაქვს არათანაბარ ხელფასებში, არის საქმიანობის სახეობა სექტორში. კერძოდ, *საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობებში*, სადაც ყვლაზე მეტად არის შესამჩნევი ხელფასებს შორის სხვაობა, ქალების 74.2% მუშაობს ოფისის პერსონალად. ამავდროულად, ამ დაბალანაზღაურებად სამუშაოს კაცების მხოლოდ 56.2% იკავებს. მაღალანაზღაურებად სამუშაოში კი, როგორიცაა სპეციალისტ-პროფესიონალი, კაცების პროცენტული წილი (13%) ორჯერ აღემატება ქალების წილს.



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სამწუხაროდ, შეუძლებელია ყველა ნახსენები ფაქტორის გათვალისწინებით გაერთიანებული მაჩვენებლის გამოყვანა, თუ რას უდრის რეალური სხვაობა ქალთა და კაცთა ანაზღაურებებს შორის. თუმცა, არსებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე შესაძლოა იმ დასკვნის გამოტანა, რომ ამ სხვაობის გარკვეული ნაწილი გამოწვეულია კაცისა და ქალის განსხვავებული სამუშაო საათებით და სხვადასხვა კარიერული გადაწყვეტილებებით, რომლებსაც ადრეულ ასაკში აკეთებენ. ამ გადაწყვეტილებებზეც შესაძლოა დიდ ზეგავლენას ახდენდეს ტრადიციული ნორმები. აღსანიშნავია, რომ საათობრივი განსხვავების გათვალისწინების შემდგომაც ვერ ხდება სახელფასო სხვაობის აღმოფხვრა. იმ გარემოებების სიღრმისეული ანალიზი, რომლებიც საფუძვლად უდევს სახელფასო სხვაობას მოითხოვს თვისობრივ კვლევას და შესაბამისად, სცდება ამ ბიულეტენის მიზანს.

[1] World Economic Forum: The global gender gap report 2018.
[2] McKinsey Global Institute: The Power of Parity, სექტემბერი 2015.
[3] გენდერული სახელფასო სხვაობა (იგივე gender pay gap) გამოითვლება საშუალო სხვაობით ქალისა და კაცის ანაზღაურებებს შორის. აქ ის წარმოდგენილია როგორც სხვაობა კაცის საშუალო მთლიანი თვიური ხელფასის ქალის საშუალო მთლიან თვიურ ხელფასთან, აღებული როგორც კაცის ხელფასის პროცენტი. Eurostat 2019.
[4] 2018 წლის ანაზღაურება წინასწარი მონაცემებია.
[5] Gender Equality and Development; World Bank Report 2012.
[6] მონაცემების არასრულყოფილების გამო, შესწორებული სხვაობის გამოთვლა შეუძლებელია 6 სექტორისთვის: სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება; მრეწველობა; ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება; წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები; დამამუშავებელი მრეწველობა და "სხვა სახის მომსახურება".

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები	2014	2015	2016	2017	2018
ნომინალური მშპ (მლნ აშშ დოლარი)	16507.8	13988.1	14377.9	15086.5	16207.1*
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	4438.3	3754.9	3857.3	4046.8	4345.5*
მშპ-ს რეალური ზრდა (%)	4.6%	2.9%	2.8%	4.8%	4.7%*
ინფლაცია	3.1%	4.0%	2.1%	6.0%	2.6%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)	1,817.7	1,665.6	1,565.8	1,894.5	1,232.4*
უმუშევრობის დონე (%)	14.6%	14.1%	14.0%	13.9%	12.7%
სახელმწიფო საგარეო ვალი (მლნ აშშ დოლარი)	4,199.8	4,314.9	4,515.7	5,177.4	5,434
სიღარიბის დონე (ფარდობითი)	21.4%	20.2%	21.0%	22.3%	20.1%

*წინასწარი მონაცემები